

„შპს „სტერეო+“-სთვის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ“ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „სტერეო+“-ის კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B და №MUX E ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (შემდგომში „კომისია“) განცხადებებით მიმართა შპს „სტერეო+“-მა (კომისიაში რეგისტრაციის №შ-6/2258-18, 04.05.2018) და მოითხოვა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B და №MUX E ლიცენზიების საფუძველზე აგებული მულტიპლექსების ჩრდილოვანი ზონების დაფარვის მიზნით 8 გეოგრაფიულ წერტილში გეპფილერების ფუნქციონირებისთვის სიხშირეების (სატელევიზიო არხების) მინიჭება.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „სტერეო+“ ფლობს:

1. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიას, კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2015 წლის 17 ივნისიდან - 2025 წლის 17 ივნისამდე;

ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები, შესაბამისი სიხშირული რესურსი და ტექნიკური პარამეტრები:

№	ციფრული სამაუწყებლო ზონა	ძირითადი გადამცემის განთავსების პუნქტი	ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე ERP [kW]	გეოგრაფიული კოორდინატები		ანტენის პარამეტრები			ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის მომენტიდან ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსი		
				ჩრდილოეთი განედი (N)	აღმოსავლეთი გრემდი (E)	დაკიდების სიმაღლე ±5 (M)	გასხივების მიმართული/არამართული (D/ND)	პოლარიზაცია H/V	სატელევიზიო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)	ზოლის სიგანე (MHz)
1	GE0250	ჯვარი	0,3	42°43'30.75"	42° 3'24.10"	25	ND	H	30	546	8
2	GE0250	წალენჯიხა	0,8	42°36'59.89"	42° 3'45.01"	20	ND	H	30	546	8
3	GE0250	ზუგდიდი	2,3	42°30'7.89"	41°53'8.84"	60	ND	H	30	546	8
4	GE0252	ბათუმი	5	41°41'37.58"	41°42'54.98"	46	D	H	27	522	8
5	GE0252	ოზურგეთი	0,3	41°54'48.87"	41°59'34.00"	25	ND	H	27	522	8
6	GE0252	ფოთი	2,6	42°11'15.73"	41°42'3.62"	120	ND	H	27	522	8
7	GE0252	ქედა	0,5	41°37'5.98"	41°55'59.05"	25	ND	H	27	522	8
8	GE0253	ამბროლაური	0,3	42°30'49.70"	43° 9'52.28"	20	ND	H	21	474	8
9	GE0253	ცაგერი	0,5	42°38'57.71"	42°45'25.56"	30	ND	H	21	474	8
10	GE0253	ჭიათურა	0,6	42°17'15.57"	43°15'40.46"	70	ND	H	21	474	8
11	GE0253	ჩხოროწყუ	0,3	42°31'46.63"	42° 6'11.88"	35	ND	H	21	474	8
12	GE0253	ჩოხატაური	0,3	41°59'38.25"	42°13'49.53"	30	ND	H	21	474	8
13	GE0253	ქუთაისი	5	42°16'48.21"	42°44'11.73"	100	ND	H	21	474	8
14	GE0253	ლენტეხი	0,8	42°46'28.45"	42°45'40.57"	12	ND	H	21	474	8
15	GE0253	მესტია	0,4	43°1 '21.84"	42°45 '21.40"	18	ND	H	21	474	8

16	GE0253	ონი	0,3	42°34'38.22"	43°26'27.31"	25	ND	H	21	474	8
17	GE0253	საჩხერე	0,6	42°20'54.86"	43°24'4.22"	20	ND	H	21	474	8
18	GE0253	ტყიბული	0,3	42°22'27.53"	43° 2'20.90"	40	ND	H	21	474	8
19	GE0255	აბასთუმანი	0,1	41°45'11.43"	42°49'28.04"	30	ND	H	21	474	8
20	GE0255	ახალქალაქი	5	41°20'51.01"	43°25'33.52"	60	ND	H	21	474	8
21	GE0255	ახალციხე	4,1	41°37'48.46"	42°57'25.44"	60	ND	H	21	474	8
22	GE0255	ასპინძა	0,2	41°34'43.95"	43°12'35.47"	30	ND	H	21	474	8
23	GE0255	ხულო	0,6	41°38'23.80"	42°20'34.39"	25	ND	H	21	474	8
24	GE0255	ნინოწმინდა	0,1	41°17 '53.29"	43°36 '28.60"	30	ND	H	21	474	8
25	GE0255	შუახევი	0,3	41°38'56.89"	42°11'24.38"	22	ND	H	21	474	8
26	GE0256	ბაკურიანი	0,1	41°44'8.97"	43°33'12.01"	25	ND	H	21	474	8
27	GE0256	ბეკამი	0,5	42° 0'8.81"	43°33'40.06"	32	ND	H	21	474	8
28	GE0256	ბორჯომი	1	41°49'27.20"	43°23'0.33"	20	ND	H	21	474	8
29	GE0256	დუშეთი	0,4	42° 0'7.14"	44°39'23.84"	30	ND	H	21	474	8
30	GE0256	გორი	4,4	42°57.12"	44° 2'50.89"	166	ND	H	21	474	8
31	GE0257	ყაზბეგი	0,6	42°39'24.38"	44°39'9.73"	20	ND	H	27	522	8
32	GE0258	ბოლნისი	1,6	41°28'0.66"	44°32'17.81"	30	ND	H	27	522	8
33	GE0258	დმანისი	3,1	41°22'39.69"	44°12'53.95"	60	D	H	27	522	8
34	GE0258	წალკა	0,5	41°38'5.61"	44°14'19.51"	50	ND	H	27	522	8
35	GE0259	ყვარელი	4,5	41°54'23.28"	45°49'41.13"	25	ND	H	21	474	8
36	GE0259	საგარეჯო	0,2	41°41'3.53"	45°16'54.07"	25	ND	H	21	474	8
37	GE0259	თბილისი	5	41°41'44.49"	44°47'5.92"	120	ND	H	21	474	8
38	GE0259	თიანეთი	0,3	42° 6'7.03"	44°56'54.94"	20	ND	H	21	474	8
39	GE0259	ცივი	0,6	41°52'17.01"	45°24'34.26"	12	ND	H	21	474	8
40	GE0261	დედოფლის წყარო	4	41°28'1.70"	46° 8'11.02"	90	D	H	22	482	8
41	GE0261	ლაგოდეხი	0,3	41°48'42.95"	46°10'17.75"	25	ND	H	22	482	8
42	GE0261	სიღნაღი	0,7	41°37'14.89"	45°53'27.68"	25	ND	H	22	482	8
43*	GE0249	სოხუმი							28	530	8
44*	GE0249	გუდაუთა							28	530	8
45*	GE0249	გაგრა							28	530	8
46*	GE0250	გალი							28	530	8
47*	GE0250	ოჩამჩირე							28	530	8
48*	GE0250	ტყვარჩელი							28	530	8
49*	GE0256	ცხინვალი							22	482	8
50*	GE0256	ჯავა							22	482	8
51	GEO259	კოჯორი	3	41°40'12"	44°41'18"	50	D	H	21	474	8
52	GEO259	მარნეული	1	41°29'30"	44°47'17"	40	ND	H	21	474	8
53	GEO253	მარტვილი	1	42°27'19"	42°21'58"	40	ND	H	21	474	8
54	GEO253	ზესტაფონი	1	42°3'34"	43°3'40"	40	ND	H	21	474	8

შენიშვნა 1: „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ევექტურად გასხივებული სიმძლავრე, გეოგრაფიული კოორდინატები და ანტენის პარამეტრები, აგრეთვე ქსელის ფორმირების სალიცენზიო ვალდებულების შესასრულებლად ლიცენზიის მფლობელს დამატებითი ვადა განისაზღვრება კომისიის მიერ, შესაბამისი პირობების დადგომისთანავე;

შენიშვნა 2: ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 100მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ±5მ);

შენიშვნა 3: მიმართული გადამცემი ანტენების გასხივების დიაგრამა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მნიშვნელობებს:

ბათუმი: 210°/2 dB, 220°/2.5 dB, 230°/3 dB, 240°/3 dB, 250°/3 dB, 260°/2.5 dB, 270°/2 dB, 280°/2.7 dB, 290°/3.3 dB, 300°/4.3 dB, 310°/2.9 dB, 320°/1.5 dB.

დმანისი: 140°/1.2 dB, 150°/2.6 dB, 160°/3.2 dB, 170°/4.4 dB, 180°/4.3 dB, 190°/2.9 dB, 200°/1.9 dB, 210°/0.7dB.

დედოფლისწყარო: 20°/0.5 dB, 30°/1.3 dB, 40°/1.3 dB, 50°/2 dB, 60°/3.5 dB, 70°/5.3 dB, 80°/4.7 dB, 90°/2 dB.

კოჯორი: 0°/10dB, 10°/7.8dB, 20°/2.7dB, 30°/1dB, 40°/0dB, 50°/1dB, 60°/2dB, 70°/3dB, 80°/8dB, 90°/10dB, 100°/15dB, 110°/20dB, 120°/22dB, 130°/25dB, 140°/23dB, 150°/22dB, 160°/20dB, 170°/23dB, 180°/26dB, 190°/28dB, 200°/26dB, 210°/25dB, 220°/22dB, 230°/25dB, 240°/26dB, 250°/28dB, 260°/26dB, 270°/23dB, 280°/20dB, 290°/22dB, 300°/23dB, 310°/25dB, 320°/22dB, 330°/20dB, 340°/12dB, 350°/10.3dB.

2. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX E ლიცენზიას, კომისიის 2014 წლის წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) ლიცენზიით მოქმედების ვადა: 2015 წლის 17 ივნისიდან - 2025 წლის 17 ივნისამდე;

ბ) გეოგრაფიული ზონა: საქართველო;

გ) ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების გეოგრაფიული კოორდინატები, შესაბამისი სიხშირული რესურსი და ტექნიკური პარამეტრები:

№	ციფრული სამაუწყებლო ზონა	ძირითადი გადამცემის განთავსების პუნქტი	ეფექტურად გასხვებულ სიმძლავრე ERP [kW]	გეოგრაფიული კოორდინატები		ანტენის პარამეტრები			ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის მომენტიდან ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსი		
				ჩრდილოეთ განედი (N)	აღმოსავლეთ გრძედი (E)	დაკიდების სიმაღლე ±5 (M)	გასხვების მიმართულუბა (მიმართული/არამართული) (D/ND)	პოლარიზაცია H/V	სატელევიზიო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)	ზოლის სიგანე (MHz)
1	GE0250	ჯვარი	0,3	42°43'30.75"	42° 3'24.10"	25	ND	H	33	570	8
2	GE0250	წალენჯიხა	0,8	42°36'59.89"	42° 3'45.01"	20	ND	H	33	570	8
3	GE0250	ზუგდიდი	2,3	42°30'7.89"	41°53'8.84"	60	ND	H	33	570	8
4	GE0252	ბათუმი	5	41°41'37.58"	41°42'54.98"	46	D	H	33	570	8
5	GE0252	ოზურგეთი	0,3	41°54'48.87"	41°59'34.00"	25	ND	H	33	570	8
6	GE0252	ფოთი	2,6	42°11'15.73"	41°42'3.62"	120	ND	H	33	570	8
7	GE0252	ქედა	0,5	41°37'5.98"	41°55'59.05"	25	ND	H	33	570	8
8	GE0253	ამბროლაური	0,3	42°30'49.70"	43° 9'52.28"	20	ND	H	32	562	8
9	GE0253	ცაგერი	0,5	42°38'57.71"	42°45'25.56"	30	ND	H	32	562	8
10	GE0253	ჭიათურა	0,6	42°17'15.57"	43°15'40.46"	70	ND	H	32	562	8
11	GE0253	ჩხორწყე	0,3	42°31'46.63"	42° 6'11.88"	35	ND	H	32	562	8
12	GE0253	ჩოხატაური	0,3	41°59'38.25"	42°13'49.53"	30	ND	H	32	562	8
13	GE0253	ქუთაისი	5	42°16'48.21"	42°44'11.73"	100	ND	H	32	562	8
14	GE0253	ლენტეხი	0,8	42°46'28.45"	42°45'40.57"	12	ND	H	32	562	8
15	GE0253	მესტია	0,4	43°1' 21.84"	42°45' 21.40"	18	ND	H	32	562	8
16	GE0253	ონი	0,3	42°34'38.22"	43°26'27.31"	25	ND	H	32	562	8
17	GE0253	საჩხერე	0,6	42°20'54.86"	43°24'4.22"	20	ND	H	32	562	8
18	GE0253	ტყიბული	0,3	42°22'27.53"	43° 2'20.90"	40	ND	H	32	562	8
19	GE0255	აბასთუმანი	0,1	41°45'11.43"	42°49'28.04"	30	ND	H	32	562	8
20	GE0255	ახალქალაქი	5	41°20'51.01"	43°25'33.52"	60	ND	H	32	562	8
21	GE0255	ახალციხე	4,1	41°37'48.46"	42°57'25.44"	60	ND	H	32	562	8
22	GE0255	ასპინძა	0,2	41°34'43.95"	43°12'35.47"	30	ND	H	32	562	8

23	GE0255	ხულო	0,6	41°38'23.80"	42°20'34.39"	25	ND	H	32	562	8
24	GE0255	ნინოწმინდა	0,1	41°17'53.29"	43°36'28.60"	30	ND	H	32	562	8
25	GE0255	შუახევი	0,3	41°38'56.89"	42°11'24.38"	22	ND	H	32	562	8
26	GE0256	ბაკურიანი	0,1	41°44'8.97"	43°33'12.01"	25	ND	H	26	514	8
27	GE0256	ბეკამი	0,5	42°0'8.81"	43°33'40.06"	32	ND	H	26	514	8
28	GE0256	ბორჯომი	1	41°49'27.20"	43°23'0.33"	20	ND	H	26	514	8
29	GE0256	დეშეთი	0,4	42°0'7.14"	44°39'23.84"	30	ND	H	26	514	8
30	GE0256	გორი	4,4	42°1'57.12"	44°2'50.89"	166	ND	H	26	514	8
31	GE0257	ყაზბეგი	0,6	42°39'24.38"	44°39'9.73"	20	ND	H	36	594	8
32	GE0258	ბოლნისი	1,6	41°28'0.66"	44°32'17.81"	30	ND	H	33	570	8
33	GE0258	დმანისი	3,1	41°22'39.69"	44°12'53.95"	60	D	H	33	570	8
34	GE0258	წალკა	0,5	41°38'5.61"	44°14'19.51"	50	ND	H	33	570	8
35	GE0259	ყვარელი	4,5	41°54'23.28"	45°49'41.13"	25	ND	H	26	514	8
36	GE0259	საგარეჯო	0,2	41°41'3.53"	45°16'54.07"	25	ND	H	26	514	8
37	GE0259	თბილისი	5	41°41'44.49"	44°47'5.92"	120	ND	H	26	514	8
38	GE0259	თიანეთი	0,3	42°6'7.03"	44°56'54.94"	20	ND	H	26	514	8
39	GE0259	ცივი	0,6	41°52'17.01"	45°24'34.26"	12	ND	H	26	514	8
40	GE0261	დედოფლის წყარო	4	41°28'1.70"	46°8'11.02"	90	D	H	43	650	8
41	GE0261	ლაგოდეხი	0,3	41°48'42.95"	46°10'17.75"	25	ND	H	43	650	8
42	GE0261	სიღნაღი	0,7	41°37'14.89"	45°53'27.68"	25	ND	H	43	650	8
43*	GE0249	სოხუმი							43	650	8
44*	GE0249	გუდაუთა							43	650	8
45*	GE0249	გაგრა							43	650	8
46*	GE0250	გალი							40	626	8
47*	GE0250	ოჩამჩირე							40	626	8
48*	GE0250	ტყვარჩელი							40	626	8
49*	GE0256	ცხინვალი							25	506	8
50*	GE0256	ჯავა							25	506	8
51	GE0259	კოჯორი	3	41°40'12"	44°41'18"	50	D	H	26	514	8
52	GE0259	მარნეული	1	41°29'30"	44°47'17"	40	ND	H	26	514	8
53	GE0253	მარტვილი	1	42°27'19"	42°21'58"	40	ND	H	32	562	8
54	GE0253	ხესტაფონი	1	42°3'34"	43°3'40"	40	ND	H	32	562	8

შენიშვნა 1: * „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე, გეოგრაფიული კოორდინატები და ანტენის პარამეტრები, აგრეთვე ქსელის ფორმირების სალიცენზიო ვალდებულებების შესასრულებლად კონკურსში გამარჯვებულისთვის დამატებითი ვადა განისაზღვრება კომისიის მიერ, შესაბამისი პირობების დადგომისთანავე;

შენიშვნა 2: ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურების განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 100მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება ±5მ).

შენიშვნა 3: მიმართული გადამცემი ანტენების გასხივების დიაგრამა უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მნიშვნელობებს:

ბათუმი: 210°/2 dB, 220°/2.5 dB, 230°/3 dB, 240°/3 dB, 250°/3 dB, 260°/2.5 dB, 270°/2 dB, 280°/2.7 dB, 290°/3.3 dB, 300°/4.3 dB, 310°/2.9 dB, 320°/1.5 dB.

დმანისი: 140°/1.2 dB, 150°/2.6 dB, 160°/3.2 dB, 170°/4.4 dB, 180°/4.3 dB, 190°/2.9 dB, 200°/1.9 dB, 210°/0.7dB.

დედოფლისწყარო: 20°/0.5 dB, 30°/1.3 dB, 40°/1.3 dB, 50°/2 dB, 60°/3.5 dB, 70°/5.3 dB, 80°/4.7 dB, 90°/2 dB.

კოჯორი: 0°/7dB, 10°/3dB, 20°/2dB, 30°/1dB, 40°/0dB, 50°/1dB, 60°/2dB, 70°/3dB, 80°/8dB, 90°/10dB, 100°/15dB, 110°/20dB, 120°/22dB, 130°/25dB, 140°/23dB, 150°/22dB, 160°/20dB, 170°/23dB, 180°/26dB, 190°/28dB, 200°/26dB, 210°/25dB, 220°/22dB, 230°/25dB, 240°/26dB, 250°/28dB, 260°/26dB, 270°/23dB, 280°/20dB, 290°/22dB, 300°/23dB, 310°/25dB, 320°/22dB, 330°/20dB, 340°/10dB, 350°/8dB.

კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის 2018 წლის 18 მაისის Nშ-10/2471-18 სამსახურებრივი დასკვნის შესაბამისად შპს „სტერეო+“-ს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B და №MUX E ლიცენზიების საფუძველზე აგებული მულტიპლექსების ჩრდილოვანი ზონების დაფარვის მიზნით,

შესაძლებელია მიენიჭოს სიხშირეები (სატელევიზიო არხები) რვა გეოგრაფიულ წერტილში გეპვილერების ფუნქციონირებისთვის შემდეგი ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად:

ა) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B ლიცენზიისთვის:

№	ციფრული სამაუწყებლო ზონა	პირითადი გადამცემის განთავსების პუნქტი	ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე ERP [KW]	გეოგრაფიული კოორდინატები		ანტენის პარამეტრები			რადიოსიხშირული რესურსი		
				ჩრდილოეთ განედები (N)	აღმოსავლეთ გრძედები (E)	დაკიდების სიმაღლე ±5 (M)	გასხივების მიმართულება (D/ND)	პოლარიზაცია H/V	სატელევიზიო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)	ზოლის სიგანე (MHz)
1	GE0259	მცხეთა	80	41°50'30.31"N	44°44'24.60"E	20	ND	H	21	474	8
2	GE0256	გუდაური	80	42°29'18.00"N	44°30'2.00"E	20	ND	H	27	522	8
3	GE0257	პანკისი	80	42° 8'34.20"N	45°16'23.80"E	25	ND	H	34	578	8
4	GE0258	მანგლისი	80	41°41'48.00"N	44°24'58.00"E	20	ND	H	21	474	8
5	GE0253	კასპი	80	41°55'52.00"N	44°29'29.00"E	15	ND	H	21	474	8
6	GE0253	ხარაგაული	80	42° 2'30.00"N	43°12'43.00"E	20	ND	H	23	490	8
7	GE0253	პატარა ონი	80	42°32'32.51"N	42°59'33.80"E	25	ND	H	29	538	8
8	GE0261	არბოშივი	80	41°33'21.00"N	45°58'13.00"E	25	ND	H	21	474	8

ბ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX E ლიცენზიისთვის:

№	ციფრული სამაუწყებლო ზონა	პირითადი გადამცემის განთავსების პუნქტი	ეფექტურად გასხივებული სიმძლავრე ERP [KW]	გეოგრაფიული კოორდინატები		ანტენის პარამეტრები			რადიოსიხშირული რესურსი		
				ჩრდილოეთ განედები (N)	აღმოსავლეთ გრძედები (E)	დაკიდების სიმაღლე ±5 (M)	გასხივების მიმართულება (D/ND)	პოლარიზაცია H/V	სატელევიზიო არხი	ცენტრალური სიხშირე (MHz)	ზოლის სიგანე (MHz)
1	GE0259	მცხეთა	80	41°50'30.31"N	44°44'24.60"E	20	ND	H	26	514	8
2	GE0256	გუდაური	80	42°29'18.00"N	44°30'2.00"E	20	ND	H	36	594	8
3	GE0257	პანკისი	80	42° 8'34.20"N	45°16'23.80"E	25	ND	H	36	594	8
4	GE0258	მანგლისი	80	41°41'48.00"N	44°24'58.00"E	20	ND	H	26	474	8
5	GE0253	კასპი	80	41°55'52.00"N	44°29'29.00"E	15	ND	H	26	514	8

6	GE0253	ხარაგაული	80	42° 2'30.00"N	43°12'43.00"E	20	ND	H	48	490	8
7	GE0253	პატარა ონი	80	42°32'32.51"N	42°59'33.80"E	25	ND	H	36	538	8
8	GE0261	არბოშივი	80	41°33'21.00"N	45°58'13.00"E	25	ND	H	26	514	8

ამავე დეპარტამენტის 2018 წლის 6 ივნისის Nშ-10/2734-18-18 სამსახურებრივი ბარათის თანახმად მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B და №MUX E ლიცენზიებით განსაზღვრულ ვალდებულებებში და ქსელში ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარის ქვედა ზღვარი ნაცვლად 33.1 მგბ/წმ-ისა განსაზღვროს 27.0 მგბ/წმ-ით. ამავე სამსახურებრივი ბარათის დანართის თანახმად შპს „სტერეო+“-იც ითხოვს კორექტირებას სალიცენზიო პირობაში და ციფრულ სატელევიზიო ქსელში ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარის 33 მგბ/წმ-დან 27 მგბ/წმ-მდე დაწევას. მიზეზად კომპანია ასახელებს იმ გარემოებას, რომ ფინელი კონსულტანტების მიერ შემოთავაზებული პარამეტრები (რომლებიც შემდეგ გამოყენებულ იქნა მათი სალიცენზიო პირობების განსაზღვრისას) „გათვლილი იყო ბრტყელ (Flat) გარემოზე და საქართველოს გეოგრაფიულ რეალობას არ შეეესაბამებოდა თავისი მდგრადობით“.

აღნიშნულთან დაკავშირებით დეპარტამენტი განვმარტავს რომ ფინური კომპანია „დიგიტას“ მიერ მოწოდებული დოკუმენტში Georgia Digital Switchover, Executive Summary, Component I: Technical specifications, 15 March 2014, ვკითხულობთ, რომ დაფარვის დაგეგმარება დაფუძნებული იყო ქვემოთ წარმოდგენილ პარამეტრებზე, რომელთა გამოყენებითაც მიღებულ იქნა ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარე - 33.1 მგბ/წმ:

32k carrier - შესაძლებლობას იძლევა დაიგეგმოს SFN ქსელი მინიმალური ინტერფერენციებით;

256 QAM მოდულაცია - იძლევა დაკავებული სიხშირული ზოლის მაქსიმალური სპექტრალური ეფექტურობით გამოყენების შესაძლებლობას, რაც გაცვლით თანაფარდობაშია დაფარულ არეალთან;

1/8 Guard Interval – ახდენს SFN ქსელში ინტერფერენციების ოპტიმიზაციას ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარესთან მიმართებაში;

2/3 Code Rate – ხელშეშლამდგრადი კოდირების სიჩქარეა, რომელიც ახდენს დაფარვის ოპტიმიზაციას ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარესთან მიმართებაში;

Pilot Pattern 2 - ხელს უწყობს ქსელის რობასტულობას.

ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გათვლები განხორციელდა ITU-ს რეკომენდაციების შესაბამისი P.526 გავრცელების მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებული იყო ტერიტორიის ფიზიკური თავისებურებები. შესაბამისად, დეპარტამენტი ვერ დავთანხმდება შპს „სტერეო+“-ის მოსაზრებას, რომ პარამეტრები „გათვლილი იყო ბრტყელ (Flat) გარემოზე და საქართველოს გეოგრაფიულ რეალობას არ შეეესაბამებოდა თავისი მდგრადობით“. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ კომპიუტერული მოდელებით მიღებულ შედეგებსა და რეალურ გარემოში ფუნქციონირების დროს განსაზღვრულ მონაცემებს შორის ყოველთვის არსებობს გარკვეული ცდომილება.

მეორეს მხრივ, კომპანიის „დიგიტას“ ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ გათვლების დროს გამოყენებული იქნა ციფრული რუკები, 11 დბ გამლიერების კოეფიციენტის მქონე ფიქსირებული მიმღები ანტენის 10 მეტრის სიმაღლეზე განთავსების შემთხვევისათვის. სამწუხაროდ ციფრული გადაცემა ქსელი, რომელიც გათვლილი იყო „სახურავის ანტენით“ მიღებისათვის ოპტიმიზირებულ პარამეტრებზე, არაეფექტური აღმოჩნდა რთული რელიეფის პირობებში მიღების თვალსაზრისით, სადაც მოქმედებს რამდენიმე შემზღუდავი ფაქტორი, როგორცაა:

ა. მოსახლეობის ხელთ არსებული საყოფაცხოვრებო ტექნიკის, კერძოდ, მიმღები ანტენების გამლიერების და საანტენო კაბელების მიღების თუ ეკრანიების კოეფიციენტების არადაამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები;

ბ. ანარეკლი სიგნალების სიმრავლე და ძირითადი სიგნალის ძლიერი დახშობა რთული რელიეფის მქონე რეგიონებში და მჭიდრო ურბანული მშენებლობით გამორჩეულ ქალაქებში;

გ. მიმღები ანტენების საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე განთავსებისას შექმნილი ხშირი პრობლემები შესაბამისი ინფრასტრუქტურის, კოლექტიური ანტენების, სასიგნალო კაბელებისათვის გათვლილი შახტების არარსებობის გამო.

დ. მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი, გავრცელებული ელექტრო და ელექტრონული ტექნიკით შექმნილი ელექტრომაგნიტური ხმაურის მაღალი დონე, რომელიც კიდევ უფრო ართულებს მჭიდროდ დასახლებულ გარემოში მდგრადი მიღებისათვის აუცილებელი სიგნალი/ხმაურის თანაფარდობის დონის მიღწევას.

აღნიშნული გარემოების გამო, დღეის მდგომარეობით შპს „სტერეო+“ სარგებლობს არა 256QAM, არამედ 64QAM მოდულაციით, რამაც გარკვეულწილად შეამცირა ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარე და სანაცვლოდ გაზარდა მდგრადი მიღების ზონა.

უნდა აღინიშნოს რომ 64QAM მოდულაციის გამოყენება არ ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს და, მაგალითად, ევროპის სამაუწყებლო გაერთიანების (EBU) დოკუმენტში, TECH 3348, Frequency and Network Planning

Aspects of DVB-T2, Geneva, October 2014, 64QAM 256QAM-თან ერთად განიხილება როგორც ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელში გამოყენებული მოდულაციის ერთ-ერთი შესაძლო საშუალება. ოღონდ ასეთ შემთხვევაში მცირდება კომისიის 2014 წლის 10 ივლისის № 363/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარე 27,0 მგბ/წმ-დე (ამ სიჩქარის ზუსტი მნიშვნელობა ასევე დამოკიდებულია სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკურ პარამეტრების კომბინაციაზე).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 10 ივლისის № 363/1 გადაწყვეტილებაში და ინფორმაციის გადაცემის წმინდა სიჩქარის ქვედა ზღვარი განისაზღვროს 27,0 მგბ/წმ-ით.

კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ლიცენზირებასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. იგივე წესია დადგენილი „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით, რომლის შესაბამისადაც ეროვნული მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია ლიცენზიების გაცემის, მათი მოდიფიცირების ან გაუქმების, მათი მოქმედების შეჩერების, აგრეთვე ტარიფების დადგენის, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე მოაწიოს საჯარო განხილვები აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებამდე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით. ასეთი პროცედურის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები ბათილია.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს კომისიის ან ლიცენზიის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნა.

კომისიის 2018 წლის 14 ივნისის სხდომას ესწრებოდა შპს „სტერეო +“-ის წარმომადგენელი ნატალია გელაძე. ნატალია გელაძემ აღნიშნა, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B და №MUX E ლიცენზიების სალიცენზიო ვალდებულებების თანახმად ჩრდილოვანი ზონების დასაფარად დამატებითი საიტების დაგეგმარებისას შპს „სტერეო+“ ვალდებულია მიმართოს კომისიას, რომელიც განახორციელებს შესაბამისი რადიოსიხშირების განსაზღვრას და სალიცენზიო პირობების მოდიფიცირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-IX თავის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დაიწიოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „შპს „სტერეო+“-სთვის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის შესახებ“ კომისიის 2014 წლის 10 ივლისის №363/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისა და შპს „სტერეო+“-ის კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №MUX B და №MUX E ლიცენზიების მოდიფიცირების თაობაზე;
2. ზეპირი მოსმენის სხდომა გაიმართოს 2018 წლის 26 ივლისს 15:00 სთ-ზე, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მოხდეს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
3. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა):
 - ა) საჯარო გაცნობისათვის ცნობის გამოქვეყნება ინტერნეტში კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
 - ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „სტერეო+“-სთვის გაგზავნა;
4. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად;
5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

კახი ბექაური
ვახტანგ აბაშიძე
ელისო ასანიძე
გიორგი ფრუიძე
მერაბ ქათამაძე